გიორგი თაბაგარის საქმის მიმოხილვა

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილმა განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე გიორგი თაბაგარის წინააღმდეგ. სასამართლომ გიორგი სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა და სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა.

მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტებს და ქმნის მომავალში აქტივისტების წინააღმდეგ კიდევ უფრო რეპრესიული პოლიტიკის გატარების საშიშ პრეცედენტს. მეტიც, იმ ფონზე, როდესაც 5 ივლისს განხორციელებული ძალადობის ორგანიზატორები დღემდე არ არიან პასუხისგებაში მიცემულნი, დაზარალებულთა დასჯა საზოგადოებაში აგზავნის მესიჯს, რომ სახელმწიფო არა დაზარალებულების, არამედ სწორედ მოძალადეების მხარესაა, შესაბამისად ამით სახელმწიფო ახალისებს ძალადობას.

საქმე ეხება 2021 წლის 5 ივლისს გიორგი თაბაგარსა და პოლიციელს შორის გამართულ სატელეფონო საუბარს, რა დროსაც პოლიციელი გიორგი თაბაგარს ძალადობის ეპიცენტრში, თბილისი პრაიდის ოფისში მისვლას თხოვდა. აღნიშნულ საუბართან დაკავშირებით შსს გიორგი თაბაგარს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დარღვევას ედავება, რაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის შეურაცხყოფას გულისხმობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის დაკისრებას ითხოვდა.

ფაქტობრივი გარემოებები

1. 2021 წლის 5 ივლისს გიორგი თაბაგარი იმყოფებოდა „სირცხვილიას“ ოფისში „თბილისი პრაიდის“ წევრებთან და სხვა აქტივისტებთან ერთად. 11:00 საათზე პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომლითაც თბილისში ღირსების მარშის გამართვა მიზანშეუწონლად გამოაცხადა. პრემიერის განცხადებას მოჰყვა პარლამენტის წინ ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზატორების მოწოდება. კერძოდ, პარლამენტის წინ შეკრებილ ადამიანებს უთხრეს, რომ მათთვის ცნობილი იყო პრაიდის ორგანიზატორების ადგილსამყოფელი და 500 კაცი უნდა წასულიყო მათთან „საბრძოლველად“ სირცხვილიას ოფისში. იმის გამო რომ მოძალადეები „სირცხვილიას“ ოფისისკენ მიდიოდნენ გიორგი თაბაგარსა და სირცხვილიას ოფისში მყოფ სხვა პირებს რეალური

საფრთხე დაემუქრათ და იძულებული გახდნენ ოფისი დაეტოვებინათ.. მოძალადეები მართლაც შეიჭრნენ იმ სადარბაზოში სადაც „სირცხვილიას“ ოფისი მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე მათ სცემეს რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ტელეოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. მოძალადეებმა დააზიანეს ქონება, შეუვარდნენ „სირცხვილიას“ ოფისის მეზობლად მცხოვრებ ადამიანებს, დაამტვრიეს სადარბაზოში შესასვლელი კარი და ა.შ.

2. ამდენად, გიორგი თაბაგარისა და მისი თანმხლების მისამართით მოემართებოდა ჰომოფობიურად და აგრესიულად განწყობილი მრავალრიცხოვანი ჯგუფი, თუმცა ამის მიუხედავად შსს-მ არ მოახდინა პოლიციის მობილიზება „სირცხვილიას“ ოფისთან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ იცოდა გიორგი თაბაგარისა და ღირსების მარშის სხვა ორგანიზატორების ადგილმდებარეობა, მათ მოისმინეს საჯარო განცხადებაც რომ ძალადობრივი ჯგუფი „სირცხვილიას“ ოფისისკენ გაემართა, თუმცა პოლიციამ „სირცხვილიას“ ოფისი და იქ მყოფი პირები არ დაიცვა.
3. გიორგი თაბაგარმა მოძალადეებს თავი დააღწია და ღირსების მარშის რამდენიმე სხვა ორგანიზატორთან ერთად გაემართა გაეროს სახლისკენ, რომელიც მდებარეობს ვაკეში მრგვალ ბაღთან. გაეროს სახლში, გიორგი თაბაგარი პირდაპირ ეთერში უყურებდა როგორ დაესხნენ თავს „თბილისი პრაიდის“ ოფისს, ჩამოხიეს დროშები, დაამტვრიეს ნივთები აივანზე და შეიჭრნენ შენობაში. პოლიციამ „თბილისი პრაიდის“ ოფისის დასაცავადაც არაფერი გააკეთა.
4. ამასობაში, მოძალადეებმა შეიტყვეს გიორგი თაბაგარისა და ღირსების მარშის სხვა ორგანიზატორების ადგილსამყოფელი და მივიდნენ გაეროს სახლთან. ამ დროსაც გიორგი თაბაგარის სიცოცხლეს შეექმნა რეალური საფრთხე. გიორგი თაბაგარი რადიო თავისუფლების ჟურნალისტებთან ერთად გამოვიდა გაეროს ოფისიდან და ჩაჯდა საკუთარ მანქანაში. ჟურნალისტებმა მანქანაში ჩაჯდომა ვერ მოასწრეს და ძალადობრივი ჯგუფები მათ სასტიკად გაუსწორდნენ. გიორგი თაბაგარმა მოახერხა მანქანის შიგნიდან ჩაკეტვა და მანქანით თავი დააღწია მოძალადეებს, რომლებიც მანქანას უზიანებდნენ. გიორგი თაბაგარი ამ დროს სიკვდილის რეალური საფრთხის წინაშე იყო, პოლიცია ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა გიორგი თაბაგარი და მისი თანმხლები ჟურნალისტები ამ დროსაც არ დაიცვა.
5. გიორგი თაბაგარმა გადაინაცვლა ადამიანის უფლებათა სახლში, სადაც იკრიბებოდნენ ღირსების მარშის ორგანიზატორები და ფიქრობდნენ, რომ ოფისის ადგილმდებარეობისა და დაცვის სისტემის გამო, აქ შეძლებდნენ თავის შეფარებას. მიუხედავად აღნიშნულისა, მოძალადეებმა იქაც მიაგნეს და ადამიანის უფლებათა სახლში შეაგდეს ასაფეთქებელი ნივთიერება, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაშავდა. აფეთქების შემდეგ, გიორგი თაბაგარი და მისი თანმხლები პირები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ, ვინაიდან მათი სიცოცხლე კვლავ საფრთხის ქვეშ იყო და პოლიციამ ისინი კვლავ არ დაიცვა.
6. მთელი დღის განმავლობაში, პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო გიორგი თაბაგარისა და ღირსების მარშის სხვა ორგანიზატორების

ადგილსამყოფელის შესახებ, თუმცა ისე ხდებოდა რომ პოლიცია მათ ძალადობრივი ჯგუფებისგან არ იცავდა.

7. ადამიანის უფლებათა სახლიდან გასვლის დროს, ავტომანქანაში ყოფნისას, ძველი თბილისის სამმართველოს გამომძიებელმა დაურეკა გიორგი თაბაგარს და ოფისის კარის გასაღებად თბილისი პრაიდის ოფისში მისვლა მოსთხოვა. გამომძიებლის განცხადებით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება სურდა ოფისში. ამ დროს, გიორგი და მისი თანმხლები პირები კვლავ ძალადობის რეალური საფრთხის ქვეშ იყვნენ და მოძალადეებისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. პოლიციელი გიორგი თაბაგარს სთხოვდა იმ ადგილას მისვლას, სადაც მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა.
8. სატელეფონო საუბრის დროს, გიორგი თაბაგარმა გააკრიტიკა პოლიცია უმოქმედობის, არაადეკვატურობისა და არაკომპეტენტურობის გამო. საუბრის დროს, გიორგი თაბაგარმა პოლიციის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება მათ შორის სალანძღავი სიტყვებითაც გამოხატა. ამ დროს გიორგი თაბაგარისა და ღირსების მარშის სხვა ორგანიზატორების სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ მხოლოდ პოლიციის უმოქმედობის გამო იყო. პოლიცია გიორგი თაბაგარსა და პრაიდის სხვა ორგანიზატორებს დაცვის ნაცვლად აყენებდა უფრო მეტი საფრთხის წინაშე და ეპატიჟებოდა ძალადობის ეპიცენტრში.
9. გიორგი თაბაგარის დამოკიდებულება, პოლიციელმა, კონტექსტის მიუხედავად, პოლიციის შეურაცხყოფად მიიჩნია და 1984 წელს საბჭოთა კავშირის დროს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დარღვევად ჩათვალა. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის შეურაცხყოფისთვის. თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე 2021 წლის 7 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ძველი თბილისის სამმართველოს წარმომადგენელმა გიორგი თაბაგარისთვის უმკაცრესი სანქცია 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მოითხოვა.

სამართლებრივი შეფასება

10. გიორგი თაბაგარის მიერ პოლიციის მწვავე კრიტიკა, მათ შორის კონტექსტის გათვალისწინებით სალანძღავი სიტყვების გამოყენება, მით უფრო, სატელეფონო საუბრისას და არა პირისპირ, სრულიად ექცევა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლებით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. გიორგი თაბაგარის მიმართ რაიმე სანქციის დაკისრება, სატელეფონო საუბრის დროს, პოლიციის კრიტიკის გამო დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციას და პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დაამკვიდრა გამოხატვის თავისუფლების მაღალი, ამერიკული

სტანდარტი, რომლის შესაბამისადაც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ ძალადობის რეალური და მყისიერი საფრთხე იქმნება.[1]

12. საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს:

„თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასთვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც ***შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ,*** *გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა.“*[2]

იგივე გადაწყვეტილებაში სასამართლო ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში გაკეთებული განცხადებების მართლმსაჯულების ობიექტად ქცევა:

„ზოგადად, სიტყვის მართლმსაჯულების ობიექტად ქცევა უკიდურეს შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, როდესაც ეს ობიექტურად აუცილებელია. არ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მართლმსაჯულების გზით მხოლოდ იმის გამო, რომ არ ვეთანხმებით, გვეშინია, გვძულს, მიგვაჩნია, რომ საზოგადოების მორალისა თუ ტრადიციების შეუსაბამოა. გამოხატვის თავისუფლების და, მაშასადამე, დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობისთვის განსაკუთრებული სიფრთხილე სწორედ ასეთი ნეგატიური განწყობებისა თუ დამოკიდებულებების განმაპირობებელი მოსაზრებების მიმართ სამართლის დამოკიდებულებას მართებს.“[3]

13. საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში „გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნავს: *„სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები“.* საკონსტიტუციო სასამართლო ამგვარი მიდგომით გამორიცხავს პოლიციის კრიტიკის გამო ნაწყენი პოლიციელის მიერ, გამკრიტიკებლის ადმინისტრაციულ

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გვ.55 პ.104.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. II.პ.40

[3] იქვ. პ. 50

პასუხისგებაში მიცემას. სახელმწიფოს მხრიდან პოლიციელის სუბიექტური გრძნობების დაცვაზე აპელირება, პოლიციელების თვითნებობას შეუზღუდავს გახდის და დაასამარებს სიტყვის თავისუფლებას.

14. გიორგი თაბაგარსა და პოლიციელს შორის საუბარი შედგა ტელეფონის მეშვეობით და როგორი კრიტიკულიც არ უნდა ყოფილიყო გიორგი თაბაგარი საკუთარი აზრის გამოხატვისას, არ იქმნებოდა არანაირი ძალადობის საფრთხე. გიორგი თაბაგარის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის არანაირი ობიექტური აუცილებლობა არ არსებობდა/არსებობს.

15. გიორგი თაბაგარის მიერ პოლიციის მიმართ ვერბალურად გამოხატული პოზიციის თვითმიზანი არ იყო ვინმეს დამცირება ან შეურაცხყოფა, არამედ ეს იყო პროტესტის გამოხატვა ზოგადად პოლიციის უმოქმედობით ადამიანების სასიკვდილოდ გაწირვის გამო.

16. გიორგი თაბაგარის მიმართ, პოლიციის კრიტიკისთვის, ნებისმიერი სანქციის გამოყენება ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონს. კერძოდ, გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რა შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ გამოხატვის თავისუფლების შინაარსის რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ პირისპირ შეურაცხყოფის შემთხვევაში.

აშშ-ს პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლების რეგულირებისა და პოლიციის თანამშრომლის შეურაცხყოფის შესახებ

17. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, ამერიკის კონსტიტუციის 1-ლი შესწორება იმგვარად არის განმარტებული, რომ მთავრობას არ შეუძლია დასაჯოს არანაირი გამოხატვა თუ ეს გამოხატვა არ იწვევს ძალადობის მყისიერ და რეალურ საფრთხეს. ამგვარი განმარტება ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გააკეთა საქმეში ***Brandenburg v. Ohio***[4] და დღემდე აღნიშნული პრეცედენტი მოქმედებს. ამგვარად, აშშ-ში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ ძალადობის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

18. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ საქმეში City of Houston v. Hill დაადგინა რომ ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორება იცავს პოლიციის ყველაზე მწვავე კრიტიკასაც კი, რომელიც პირდაპირ მიმართულია პოლიციის ოფიცრებისადმი. ხშირად გამოხატვის ფორმა არის პროვოკაციული და გამომწვევი, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ამგვარი გამოხატვაც დაცულია ცენზურისგან და/ან სასჯელის დაკისრებისგან. გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს თუ სახეზეა რეალური და მყისიერი საფრთხე რომ რაიმე სერიოზული ზიანი იქნება სახეზე. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სათანადოდ დატრენინგებულ პოლიციელებს

[4] Brandenburg v. Ohio, 395 U.S. 444 (1969), ხელმისაწვდომია ბმულზე: https://supreme.justia.com/cases/federal/us/395/444/

ევალებათ იყვნენ უფრო მომთმენები და უფრო ნაკლებად შევიდნენ კონფრონტაციაში უწმაწური სიტყვების გაგონებისას, ვიდრე ამას საშუალო მოქალაქე გააკეთებდა. აღნიშნულ საქმეში მოსამართლე ბრენანმა აღნიშნა: „ინდივიდის თავისუფლება ეკამათოს და სიტყვიერად შეეწინააღმდეგოს პოლიციელს, დაკავების ან პასუხისგებაში მიცემის საფრთხის გარეშე, არის პრინციპული მახასიათებელი, რაც განასხვავებს ნაციას პოლიციური სახელმწიფოსგან“.[5]

19. საქმეში **Thurairajah v. City of Fort Smith**, Eric Roshaun Thurairajah მართავდა ავტომობილს, როდესაც გზის მოპირდაპირე მხარეს დაინახა პოლიციის თანამშრომელი და დაუყვირა „Fuck you“. პოლიციამ აღნიშნული ქმედების გამო დააკავა Eric Roshaun Thurairajah. ამერიკის ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე და 2019 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ამერიკის კონსტიტუციის 1-ლი შესწორებით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლებით დაცულია შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოხატვაც. სასამართლომ მიუთითა უზენაესის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე City of Houston v. Hill და აღნიშნა: „პოლიციის ოფიცრების კრიტიკა თუნდაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაცულია ამერიკის კონსტიტუციის 1-ლი შესწორებით“.[6]

20. საქმეში **Washington v. E.J.J.** არასრულწლოვანმა სიეტლის პოლიციის ოფიცრებს მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით, ეძახდა შეურაცხმყოფელ სახელებს (motherf**er) და უყვიროდა. პოლიციის ოფიცრებმა გააფრთხილეს არასრულწლოვანი შეეწყვიტა მსგავსი ქმედება თორემ დააკავებდნენ. არასრულწლოვანმა კვლავ გააგრძელა პოლიციელებისთვის შეურაცხმყოფელი სიტყვების თქმა, რის შემდეგაც პოლიციის ოფიცრებმა დააკავეს არასრულწლოვანი. ვაშინგტონის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციის მიმართ გამოთქმული სიტყვები შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, გამაღიზიანებელი, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ამგვარი სიტყვები მაინც დაცულია ამერიკის კონსტიტუციის 1-ლი შესწორებით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლებით. სასამართლომ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში თუ ადამიანი სარგებლობს გამოხატვის კონსტიტუციური უფლებით და აკრიტიკებს პოლიციას მათი ქმედებებისთვის, ის არ შეიძლება იყოს საფრთხის ქვეშ რომ მსგავსი კრიტიკის გამო პასუხისგებაში მისცემენ. მსგავს შემთხვევაში ადამიანისთვის ბრალის წარდგენას არ უშვებს ამერიკის კონსტიტუციის 1-ლი შესწორება.[7]

21. ყოველი ზემოთ აღნიშნული საქმე ეხება პოლიციის ოფიცრების პირისპირ შეურაცხყოფას. სატელეფონო საუბრის დროს პოლიციის შეურაცხყოფის შემთხვევები ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი ინსტანციის სასამართლოებს არც კი განუხილავთ,

---

[5] City of Houston v. Hill, 482 U.S. 451 (1987) ხელმისაწვდომია ბმულზე: https://supreme.justia.com/cases/federal/us/482/451/

[6] Eric Roshaun Thurairajah v city of Fort Smith, No. 17-3419, June 3, 2019 ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ecf.ca8.uscourts.gov/opndir/19/06/173419P.pdf

[7] Washington v. E.J.J. no. 88694-6 25.06.2015 ხელმისაწვდომია ბმულზე: https://law.justia.com/cases/washington/supreme-court/2015/88694-6.html

ვინაიდან სადავოც არ გამხდარა ის ფაქტი, რომ მსგავსი ქმედება გამოხატვის თავისუფლებაში ექცევა. ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლების ამერიკული მოდელი დამკვიდრდა და მსგავს მოდელს ითვალისწინებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიც, დაუშვებელია პირის პასუხისგებაში მიცემა პოლიციელის კრიტიკის გამო, თუნდაც პოლიციელმა ეს შეურაცხმყოფელად მიიჩნიოს. ამასთან, როდესაც კრიტიკა არ ხდება პირისპირ და ხდება სატელეფონო საუბრის მეშვეობით, სახეზე არ გვაქვს არანაირი ძალადობის მყისიერი საფრთხე ამიტომ დაუშვებელია მსგავს შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა.